რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


ამ ნომერში ექვსი გვერდია

პარასკევს, 21-ს ოქტომბერს, წლის თავზედ ქვრივი ღენერალ-მაიორის მეუღლის ელენე ალექსანდრეს ასულის პაპოვის გარდაცვალებისა, გარდაიხდიან განსვენებულის მოსახსენებლად პანაშვიდს და ლიტურგიას ანჩისხატის საყდარში დილის 10 საათზედ. (2—1)

არწრუნის თეატრი.

დღეს, 16 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

პირველი მოქმედება ა. ა. ცაგარელის პიესიდამ

## რაც გინახავს ვეღარ ნახავ

II

მეორე მოქმედება ა. ნ. ოსტროვსკის კომედიიდამ

შემოსავლიანი ადგილი

III

სალამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი ერთ მოქმედებად, თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

IV

## ლეკური

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

## „დროებაზედ“

პირველის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი სამი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

17 ოქტომბერს.

პეტერბურგი. გაზეთები იწერებიან, რომ ამ კვირის გასულს სახელმწიფო რჩევა დაიწყებს განხილვას უნივერსიტეტის ახალი წესდებისას და იმ კითხვისას, რომელიც სტუდენტების ფორმის ტანისამოსს შეეხება.

კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა, რომელიც პეტერბურგში იმყოფება, წარუდგინა სახალხო განათლების მინისტრს კავკასიაში სამასწავლებლო საქმის შეცვლის პროექტი, რომელიც უმთავრესად შეეხება მოწყობას სახალხო სკოლებისას.

პარიჟი. დიდთა მთავართა ვლადიმირმა და სერგიმ ალექსანდრეს-ძეთა ნახეს გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი.

«ტანი» არღვევს იმ ხმებს, ვითომც საფრანგეთის ჯარები ტონკონში სასტიკად იქცეოდენ.

სოფია. იონინის თანხმობით სამხედრო სამინისტროს გამგეობა პოლკოვნიკმა კოტელნიკოვმა იკისრა; წინანდელი მინისტრი რედიგერი მალე წავა ბულგარიიდგან; მდგომარეობა უმჯობესდება.

## სამეურნეო საზოგადოების გამჭრიახობა

თბილისი, 18 ოქტომბერს.

ამ დღეებში «შინაურ ქრონიკაში» ვაცნობეთ მკითხველებს, ერთმა წევრმა სამეურნეო საზოგადოებისამ განაცხადა სურვილი, რომ ამ საზოგადოებამ სთხოვოს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უმაღლესის აგრონომიულ სასწავლებლის დაარსება ჩვენში. ეს წინადადება, როგორც იცით, საზოგადოებამ გულ-ცივად მიიღო და ის არჩია, რომ მინისტრისათვის დინგელშტეტების რეფერატები წაეკითხა. თუმცა სამეურნეო საზოგადოებამ მინისტრისაგან კომპლიმენტები მოისმინა, მაგრამ ასე უყურადღებოდ დატოვება ამისთანა მძიმე საგანისა ამტკიცებს, რომ ხსენებულს საზოგადოებას კარგად არ ესმის თავისი დანიშნულება და თვისის მოქმედების პროგრამა გამორკვეული არა აქვს. დღეს გუთნებს გაიტანს მინდვრებში და სრულიად მოუმზადებელ გლეხების წინ აატარ-ჩაატარებს გენესა და ჰოუვარდის გუთნებს, ხვალ ფუტკრების ამბავს მოგვიყვება ზეგ მოწიწებით ყურს უგდებს შინაურ ეკონომისტების წყალ წყალა მსჯელობას არხების გაყვანასა და პოლიტიკურს კეთილ-საიმედობაზედ,—და თუ ვინმე კრინტი დასძრა უმაღლესის სასწავლებლის საჭიროებაზედ, ხელები უნდა გაატატანოს და ჩვეულებრივის «არგვინდათი» მიიღოს ეს საფუძლიანი წინადადება.

რომ ჩვენში უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი ტეხნოლოგიურ სასწავლებელთან ერთად ფეხზედ დააყენებს ჩვენს ქვეყანას და უზღავს სამაგიეროს ვაჭრობის დაცემისათვის, რომელიც უკანასკნელ ხანს ასე თვალსაჩინოდ დაეტყო —ამაში ეჭვი არ არის. ჩვენს ქვეყანას იმდენი ვაჭრობის იმედი არ უნდა ჰქონდეს, როგორც წარმოებისა. წარმოება კიდევ, როგორც მამულისა, ისე ქარხნებისა რიგზედ წავა მხოლოდ მაშინ, თუ ამ საქმეებში გამოცდილი პირები გვეყოლება და ზღვას იქიდამ აღარ მოგვინდება ვინტების დამამაგრებელთა ძებნაც კი. სამეურნეო საზოგადოებას ეს უნდა ესმოდეს, რომ მაშინები ჩვენში სათამაშოებათ ექმნებათ და არა მუშაობის გასაადვილებლად იმ დრომდე, ვიდრე მათი ხელის მცოდნენი არ გვეყოლება.

იქნება ეს ყველა იცოდეს კიდეც ამ საზოგადოებამ და იმიტომ ეთქვას უარი, რომ თხოვნიდამ არა გამოვა-რა. იქნება,—მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენის საჭიროების საქვეყნოდ გამოცხადება თუ არ სარგებლობას, ზარალს არას მოგვიტანდა, მენჯს ძვირად თუ ვინმე მიაწვდენს რასმე და თუ რაიმე საჭიროების აუცილებლობა თვალსაჩინოდ დამტკიცდა,— ამ საჭიროების დამაკმაყოფილებელი საშუალებაც გამოჩნდება საიდანმე.

## შინაური ქრონიკა

როგორც გაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, ორშაბათს, 17 ოქტომბერს, რვის ნახევარზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამართა დიდი სხდომა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, საქართველოს ეგზარხოსი და მრავალნი სხვანი ზალა. საზოგადოებისა სავსე იყო ხალხ. ; ბევრნი ფეხზედაც იდგნენ ულაგ ის გამო. სხდომა გაიხსნა საზოგადოების თავ-მჯდომარის ბ. ხატისოვის სიტყვით. შემდეგ წაიკითხეს რეფერატები ბბ. დინგელშტეტმა, ღამბაროვმა და შავროვმა. პირველმა ირიგაციაზედ, მეორემ უბინადრო ხალხის ბინადარ ხალხად გარდაქცევაზე და მესამემ აბრეშუმის მოყვანისა და, ვაჭრობის საქმეზედ ჩვენში. ამ რეფერატებში ჩვენის აზრით ყველაზედ შესანიშნავი იყო ბ. დინგელშტეტის რეფერატი, რომელიც მეცნიერებას ახალს გამოკვლევას შესძენს შესახებ იმისა, თუ არხების გაყვანას როგორ შეუძლიან ხალხი პოლიტიკურად კეთილ საიმედოდ გარდაქმნას.

რეფერატების წაკითხვის შემდეგ, რომელნიც, რასაკვირველია, საზოგადოებამ ხმა-ამოუღებლად მოისმინა, მინისტრმა რამდენიმე კომპლიმენტი უთხრა ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას. იმანა სთქვა; მთავრობისა და მამულის მომვლელთა შორის შუამავლად სამეურნეო საზოგადოებანი არიანო; მაგრამ სამწუხაროდ ბევრი სამეურნეო საზოგადოება ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და მთავრობა ესლა სცდილობს ეს ნაკლულევანება აცილოსო. როგორც დღევანდელ რეფერატებიდამ ვხედავ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამ საზოგადოებათა რიცხვს არეკუთვნისო. თქვენი საზოგადოება დასდგომია წესიერს გზას— ფაქტებისა და მასალის შეკრებისას და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო

თვის მოვალეობად შერაცხს ყოველთვის შემწეობა გაგვიწიოთო.

ცხრა საათი იყო, რომ ამ მოკლე სიტყვის შემდეგ კრება დაიშალა.

≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ გორის მაზრის უფროსს თავის მაზრაში მი-მოსვლის დროს რამდენიმე სოფლისათვის განაჩენები დაუდგენებია შესახებ სკოლების გამართვისა. როდესაც ეს განაჩენები შესრულდებიან, მაშინ სკოლების რიცხვი გორის მაზრაში ორმოცზე მეტი იქნება; ასე რომ, მაშინ სკოლების რიცხვით ეს მაზრა ყველა სხვა მაზრებს აჯობებს, თუმცა ამ მხრივ დღემდის თითქმის უკანასკნელი ადგილი ეჭირა.

≈ ზ. გუბერნიის მარშალი ამ დღეებში აპირებს თავად-აზნაურობის მხრივ სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი მოხსენების მირთმევას შესახებ ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა საჭიროებათა. აი რა და რა საგნებზეა ლაპარაკი ამ მოხსენებაში: ა) კახეთისკენ რკინის გზის გაყვანაზე; ბ) არაყზედ ბაჟის აღების წესის შეცვლაზე; გ) იმ წესის შეცვლაზე, რა წესითაც ხაზინის საიჯარო მამულები და სხვა სტატიები გაიცემა; დ) იმ წესის შეცვლაზე, რა წესითაც იღებს ხოლმე ხაზინა მამულებზედ დავას გამორჩევის დროს; ე) იმაზედ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი შესახებ კერძო მფლობელთა ტყეების დაცვისა თბილისის გუბერნიაშიაც გავრცელებულ იქმნას; ვ) იმ წესის შეცვლაზედ, რა წესითაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა ისარგებლონ ხე-ტყით სახელმწიფო ტყეებიდამ და ზ) იმაზედ რომ აუცილებლად საჭიროა დაბალი სამეურნეო სასწავლებლები დაარსებულ იქმნან ჩვენში.

≈ მადლობა ღმერთს! ძლივს ერთი კორესპონდენცია გავხსენით, რომელშიაც ჩვეულებრივი და სულის ამომრთმევი ფრაზა: «ქურდობა მალიან გახშირდა ჩვენში!» აღარ შეგვხვდა. ამის მაგივრად ვკითხულობთ: «ზუგდიდის მაზრაში ამ უკანასკნელ ოთხ თვეში ქურდობისა ერთი შემთხვევაც არა ყოფილა, როდესაც რომ უწინ დღე ისე არ გავიდოდა, რომ ხუთი-ექვსი ცხენი, ხარი, კამეჩი არ მოეპარათ». ამ გვარს ცვლილების მიზეზად კორესპონდენტი ახალის მაზრის უფროსის ენერგიულს მოქმედებასა ჰხადის. მივულოცავთ ზუგდიდის მაზრას ამისთანა მაზრის უფროსის მისვლას და ასე უეცრად ზნეობის შეცვლასაც, თუ კი მართლა ასე უეცრად შეიცვალა ზნეობა მთელს ზუგდიდის მაზრას.

≈ «კავკაზს» გაუგონია, რომ რკინის გზის გამგეობა აპირებს თბილისში რამდენიმე ადგილს სტანციის განყოფილებათა გახსნას, სადაც მგზავრებს წინადვე შეეძლებათ ბარგის მიცემა და ბილეთების აღება. აღებულ ბილეთებს სამი დღე ექნება ძალა.

---

### «დროების» კორესპონდენცია.

ახალ-სენაკი, 14 ოქტომბერს. 25-ს აგვისტოს ამა წლისას ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის განკარგულებით იყო აქ დანიშნული კრება სამეგრელოს სამღვდელოებისა, გარდასაწყვეტად სასულიერო სასწავლებლის ზოგიერთთა საქმეთა.

დანიშნულს დროზედ გამოცხადდენ სამეგრელოს და აფხაზეთის სხვა და-სხვა კუთხეებიდგან მამა დეპუტატები. სასწავლებლის ზედამხედველი თუმცა სხვებზე წინ უნდა მოსულიყო დანიშნულს ადგილზე და დაემზადებინა საქმეები კრებისთვის, მაგრამ ისიც 25-ს აგვისტოს ღამე მობრძანდა. მეორე დღეს კრების თავ-მჯდომარემ სასწავლებლის ზედამხედველს მოსთხოვა კრების განსახილველად დანიშნული საქმეები. მაგრამ ბ. ხელაშვილს, სასწავლებლის ზედამხედველს, არავითარი საქმე არ ჰქონოდა დამზადებული და ამისათვის ვერც დააკმაყოფილა მოთხოვნილება კრების თავმჯდომარისა; ამიტომ კრება, რომელიც სამღვდელოებას 400—500 მანეთამდის უჯდება ყოველთვის, ფუჭად და უმნიშვნელოდ უნდა დაშლილიყო ბ. ხელაშვილის დაუდევნელობით ამ გვარმა ქცევამ ბ. ხელაშვილისამან ერთი ალიაქოთი ასტეხა სამღვდელოებაში. როგორც ამ საგანზე, ისე სასწავლებლის სხვა ნაკლულევანებაზე შეადგინა კრებამ პროტოკოლი, რომელშიაც სთხოვა ყოვლად სამღვდელო გაბრიელს ხელ-ახლად დანიშნა სამღვდელოებათა კრებისა და იმ დროისთვის გამოწერა თბილისის სემინარიიდგან რევიზორისა, რომ სამღვდელოებას ჰქონოდა შემთხვევა, რევიზორისთვის ეჩვენებინა — თუ რამ ნაკლულევანება ჰქონდა სასწავლებელს.

ამ პროტოკოლის ძალით კრება სამღვდელოებათა იყო აქ 5-ს ამ თვისას. თბილისის სემინარიიდგან გამოგზავნილი რევიზორი ბ. სოგინი მობძანდა კრებაზედ. სამღვდელოებამ უჩივლა რევიზორთან სასწავლებლის ზედამხედველს და გასამტყუნებლად საბუთებიც წარუდგინა მას. რევიზორმა ბ. სოგინმა დღეს გაათავა რევიზია და გაემგზავრა თბილისში.

გუშინ 13-ს ამ თვისას ყველასთვის საყურადღებო შემთხვევა მოხდა აქ. სასწავლებლის რევიზორი ბ. სოგინი და ზედამხედველი სასწავლებლისა ბ. ხელაშვილი ერთად მოდიოდნენ სტანციიდგან, დახვდა მათ ერთი ქალი და ბ. ხელაშვილს შეურაცხობა მიაყენა.

---

### უცხოეთი

— ზოგიერთა უცხოეთელი გაზეთები რუსეთის პოლიტიკის შესახებ იმ აზრისანი არიან, რომ რუსეთს არც ომის და არც სხვა ქვეყნების დაპყრობის წადილი არა აქვს, მაგრამ ეს კი აშკარად მიაჩნიათ, რომ შინაური პოლიტიკის მოსაზრებათა გამო ბევრს უნდა მისი გერმანიასთან და ავსტრიასთან ომში გაბმა, რაიცა, იმავე გაზეთების სიტყვით, გერმანიის მეტს არავის არ შეუძლიან. თუ ომიანობა დაიწყო, სხვა არსაიდგან შეიძლება დაიწყოს, თუ არ ბერლინიდგან: თუ ბერლინს უნდა გაზაფხულზე მშვიდობიანობა იქნება და თუ ომიანობას მოინდომებს, ომიანობა მოხდება, ერთიც და მეორეც იმაზეა დამოკიდებული, ამაში იმის წინ გადაღობვას არავის არ შეუძლიან. იქიდგან ომის დაწყება მით უფრო მოსალოდნელია, მით უფრო ადვილად და თამამად შეუძლიანთ გერმანიელებს მოქმედება, რომ ზურგიდგან თავდასხმას არავისგან არ მოელიან.

— იმის დასამტკიცებლად, თუ რანაირად დამცირდა რუსეთის გავლენა სლავიანებში და რა უმადურად ეპყრობიან ეს უკანასკნელნი რუსეთს მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს ერთის რუმინიიდგან გაზ. «ნოვოსტი»-ში მოწერილის წერილიდგან: «მხარე, რომელიც გუშინ ჩვენი მოკავშირე იყო—ამბობს წერილის ავტორი—დღეს ჩვენი მტერი შეიქმნა. სკოლებში უქადაგებენ, რომ საჭიროა რუსებს ბესარაბია წავართვათო, ადიდებენ რუმინელთა სიმხნეს, სიქველეს და ნამსახურობას, რომელიც მათ რუსებს გაუწიეს. იქაური ინტელიგენცია, სამინისტრო, ფულიანი ხალხი და სხ. სულყველანი რუსეთის წინააღმდეგნი და ავსტრიასთან კავშირის მომხრენი არიან.»

—სწორედ ამ გვარსვე ამბებს იწერებიან ამ საქმის თაობაზე სოფიიდგან გაზ. «ნოვოე ვრემიაში», «ბულგარიიდგან ერკეებიან—ამბობს წერილი— არამცთუ მარტო რუსებს, არამედ იმ ბულგარიელებსაც, რომელთაც განათლება რუსეთის სკოლებში მიუღიათ.»

— ამ ცოტა ხანში დაბეჭდილა ერთი ბროშიურა შემდეგი სათაურით: «საფრანგეთი მზად არის ომისთვის» და ამ ბროშიურას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ბერლინის სამხედრო წრეებში. ბროშიურის ავტორი დასწრებია საფრანგეთის ჯარების შემოდგომის მანევრებსა და ამტკიცებს, რომ საფრანგეთს შეუძლიან გამოიყვანოს საომრად ჯარი 199,000 კაცით და 549 ზარბაზნით გერმანიის ჯარზედ მომეტებული.

— გერმანიიდგან იწერებიან, რომ იქ მოუგროვებიათ ისკიის კუნძულზე დაზარალებულთა სასარგებლოდ 520,000 მარკა ფული. ნემეცური გაზეთების სიტყვით, ხელის მოწყობით იმოდენი ფული არსად არ შეგროვებულა, რამოდენიც აქ.

---

### სხვა-და-სხვა ამბავი.

როგორ ეპყრობიან მოღალატეს? ჯემსი კერის ბედი, რომელიც შეიქმნა მსხვერპლი იმ ირლანდიელი რევოლიუციონერების დასისა, რომელიც მან გასცა, აშკარად გვიჩვენებს, რას უნდა მოელოდენ მოღალატენი იმათ მხრივ, ვისაც ისინი ღუპავენ. თვით იმათაც კი ეზიზღებათ ისინი, ვისაც მათ სამსახური გაუწიეს. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ალექსანდრე დიუმასაგან ნაამბობს ფაქტს, რომელიც იმას თავის სკოლის ამხანაგი დიდიესგან გაუგონია. დიდიეს მამა შინაურს საქმეთა მინისტრის მდივანი ყოფილა იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მმართებლობამ ბერიის ჰერცოგინია დაატუსაღა ვიღაც ანრი დეიცის დაბეზღებით. დიდიეს მიანდვეს გარდაეცა დეიცისთვის დაპირებული 500,000 ფრანკი. «იმ დღეს,—ამბობს დიუმას ამხანაგი, რომელიც მაშინ რვა წლისა ყოფილა,—რა დღესაც ფული უნდა ჩაებარებინა დეიცისთვის, მამა ჩემმა დამიძახა კაბინეტში და მიბძანა ფარდების უკან დავმალულიყავ. «შენ უნდა პატარაობითვე იცოდე—მითხრა იმან— როგორ უნდა მოეპყრა მოღალატეთ.» როდესაც დეიცი შემოვიდა, მამა ჩემი იდგა თავის სტოლთან, რომელზედაც 500000 ფრანკის ბილეთები ორ წყობად ეწყო. დეიცმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წამოდგა, მაგრამ მამა ჩემმა ანიშნა, რომ შეჩერებულიყო; შემდეგ მამაჩემმა აიღო მაშით ჯერ ერთი წყობა ფულისა და მისცა, მერე მეორე წყობა და, მისცა თუ არა, მაშინათვე კარები უჩვენა. არც ერთი სიტყვა არა თქმულა ამ დროს, მაგრამ ამ სურათმა შემარყეველი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იმაზე ძლიერ ზიზღის და სიძულვარის გამოხატვა აღარ შეიძლება, როგორც მამა ჩემმა დეიცს გამოუხატა».

—

შესანიშნი ქორწილი. ამას წინად პორტსში დაქორწილებულან ედუარდ როუ და ელისაბედი გალეი. საქმროც და საპატარძლოც დაბადებიდგანვე ყრუ და მუნჯები არიან თურმე და მაყრებიც ქორწილში სულ ერთიანად ყრუ და მუნჯები ჰყოლიათ.

—

— მონტევიდეოში (სამხრეთ ამერიკაში) მოუკლავთ და გაუძარცვავთ ერთი მდიდარი მოქალაქე. პოლიციამ ამის მოკვლის ეჭვი ორ იტალიელზე მიიტანა თურმე და დაატუსაღა კიდეც. იმისათვის, რომ გამოსტეხონ ისინი ამ ბოროტ-მოქ-

მედებაში და წაღებული ნივთები გამოაჩე-ნინონ, და საშინლად უწყალოდ სტან-ჯეს თურმე ეს საცოდავი იტალიელები. ამ დროს ნამდვილი დამნაშავე გამოჩნდა ისარის ერთი პოლიციაში ნამსახურალი ჩინოვნიკი. იტალიელები, ამის შემდეგ, რასაკვირველია, გაამთავისუფლეს, მაგრამ როგორები-ღა გავიდნენ ისინი საპატიმ-როდგან? როდესაც დაიჭირეს, ისინი ჯან-მრთელნი, ღონით და სიცოცხლით სავსენი იყვნენ და ეხლა კი დამახინჯებულ-ნი და ხელ-ფეხ დამტვრეულნი გავიდნენ აქედამ. მათი სხეული საცოდავად გა-ლურჯებული, დასისხლიანებული, იარებით სავსე იყო, ფეხები გახურებული რკინი-თა ჭქონდათ დადაღული. ეს საცოდავები ლაპარაკობენ თურმე, რომ სამის დღის განმავლობაში გამუდმებით აწამებდენ მათ იმ ტანჯვით, რომელსაც კოლუმბიაში «გეპო»-ს ეძახიან. აი როგორია ეს წა-მება: დამნაშავეთ, რამდენათაც კი შეიძ-ლება, ძლიერ გაუჭიმავენ ტანს და ხელ-ფეხს; შემდეგ თოკებით მიაკრავენ ზო-მებზედა და ამ მდგომარეობაში სტოვებენ უბედურებს ცის და დედა-მიწის შუა. ღამის ნამი რასაკვირველია, ასველებს თოკებს და ამის გამო ისინი უფრო უჭერენ სახსრებზე და უფრო სჭიმავენ ისედაც გაჭიმულს ასოებს. საცოდავი იტალიელები ამბობენ, რომ ამას არ დაგვაჯერეს, თითებზე გაზებ-საც გვიჭერდენ და პირს ქვიშით გვიმსებდე-ნო, ძალად გვაჭმევდენ მოუხარშავს სე-ლიოტკებს და მლაშე საჭმელსაო; იქვე გვედგა წყლით სავსე ჭურჭელიო, მაგრამ არ გვასმევდენ, იმიტომ, რომ უფ-რო ძლიერ მოგვწყურებოდაო; ფეხებს ტაფაზე გვიხრაკავდენო, გვწკლეტდენ და გვჩრიდნენ დანებითაო და ასე უწყა-ლოდ მხოლოდ იმიტომ გვტანჯავდენ, რომ არა ვსტუდებოდით მდიდარი მოქალაქის მოკვლაშიო. იტალიის ელჩმა მოსთხოვა მმართებლობას იმ ჩინოვნიკების დასჯა, რომელთაც ეს ულმერთობა ჩაიდინეს, და ამასთანავე 80,000 დოლარი ფულიც წამებული იტალიელების დასასაჩუქრებ-ლად, მაგრამ მმართებლობა ძალიან აგვიანებს ამ განონიერი მოთხოვნილე-ბის დაკმაყოფილებას და იტალიის ელ-ჩიც ემუქრება, თუ დროზე არ შეასრუ-ლებთ ჩემს თხოვნას, დიპლომასტიურ კავშირს მოვსპობ თქვენთანაო.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებულთ პირების უძრავი ქონებანი, გირაოდ მიღებულნი ბანკისა-გან, დანიშნულნი არიან ბანკის § 14 თანახმად საჯაროდ გასასყიდლად, ამავე ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანელო-ბისათვის. გაყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხვედრს გადასახ-დელს შემოიტანენ.

ჩიგიანი, ალექსანდრე სტეფანეს-ძე. სახოსტნე, ყურძნისა და ხილის ბაღი და მარანი, ადგილის ზომა 5600 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 უჩასტკაში, 1 განყოფილებაში თბილისში № 677.

ქანანოვები: მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით და ყველა მოწყობილობით, თან ადგილი $190\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ., 1 არშინი და 188 ოთხ-კუთხი გოჯი. 1 უჩასტკ, 1 განყოფ. ქ. თბილისს, დავიდოვის და პამენდანტის ქუჩა.

ტერ-მიქელოვი, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თბილისში, ოლგინსკის გზა-ტკეცილზე, ჯვრის მახლობლად.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუ-ქანი ბალაგონით, ბ) ორი სამ-სართულიანი დუქანი, ორი ორ-სართულია-ნი ქვის დუქნები და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვის დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი მიწით. ქ. თბილისში ა) მეშვიდე ნაწილ-ში და ბ) მე-14 ნაწილში 2 განყოფილებაში.

მირიმანოვი, ისაკ ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 1488 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, მე-13 ვო-რონცოვის უჩასტკაში მე-3 განყოფილებაში.

აივაზოვი, გიორგი მიხეილის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ზომა მიწისა 32 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისს.

ბექანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით და დანარჩენის მოწყობილობით, ადგილის ზომა 44 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, მე-3 ნაწილ., 1 განყ. წყლის საზიდ ქუჩაზე.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე. ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ად-გილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში.

კობიაშვილისა, ეკატერინე იოსების ასული. ერთ-სართულიანი ქვით კირის სახლი თავისი ფლიგელით, სარაიათი, თავლათი, საკუჰნიოთი, ბაღით და დანარჩენი კუთვნილებით და მორიგის წყლით, ადგილი 490 ოთხ-კუთხი საჟენი. პუკიაში ქალაქის მე 2 განყოფილებაში.

ტერ-აფრიამოვი, სტეფანე ნიკიტას-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, რომელსაც უჭირავს $103\frac{3}{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. ავლაბარ-ში, მე-2 განყოფილებაში ქ. თბილისს.

კალინოვსკისა, პელაგია ანდრიას ასული. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ყველა მოწყობილობით და 100 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, მე-10 ნაწილში, მე-2 განყოფილ.

ელიოზიშვილისა, ელისაბედ იობის ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფის სართულით და 2 ფლიგელი სარდაფით 203 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით.

კოშორიძენი, გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი. ორ-სართუ-ლიანი სახლი მეზონინით და მოწყობილობით. მიწა ზომით დაახლოვებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მე-3 ნაწილში, 1 განყ., ქ. თბილ.

მაჩაბლისა, დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საყინულეთი და ორ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი სარდაფით 380 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით.

სპანდარიანისა, ანნა ალაპარუნის ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფის სართულით და 3 ფლიგელი ყველა კუთვნილებითა და 325 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, მე-4 ნაწილ., 1 განყ. № 63.

ბერძენოვისა, დარია გიორგის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი, 110 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 ნაწილში, 1 განყ., მოსკოვის ქუჩის ზევით.

მაკაროვი, პეტრე მინასას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორის ფლიგელით, 333 ოთხ-კუთხი საჟენი, 1 არშინი და 32 გოჯი მი-წით. ქ. თბილისში, 1 განყ., ლაბარატორიის ქუჩაზე.

ჯორჯაძე, დავით ვახტანგის-ძე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, ყველა მოწყობილობით და 1443 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში.

რთველაძე, დავით ესტატეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკ. სახლი ორი სარდაფით და $27\frac{1}{4}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 ნაწილში, 1 განყოფ.

გურგინბეგოვი, ალექსანდრე ისაკის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 11 ნაწილში, მე-2 განყ., არსენალის ქუჩ.

ერისთავისა, ნინო ალექსანდრეს ასული. სამ-სართულიანი ქვითკი-რის სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფის სართულით და 144 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, მე-2 განყ.

იარალოვი, ზაქარია ვასილის-ძე, (რომელიც წინად ფორაქოვს ეკუ-თვნოდა). ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და ორი ფლიგელი ყველა მოწყობილობით და 400 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, ავლაბარში მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფ., ავლაბრის მოე-დანზე.

ჩოლოყაშვილისა, სოფიო კონსტანტინეს ასული. ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და $68\frac{3}{4}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ორბელიანების ქუჩაზე.

ყარაევი, ანდრია ოსიპის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკარის სახლი სარ-დაფის სართულით ყველა მოწყობილობით და 104 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, კათოლიკების ქუჩაზე.

არწრუნნი, გრიგოლი და ანდრია იერემიას-ძენი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ქარვასლა ანუ სასტუმრო ეზო და ორ-სართულიანი ქვითკირის გალერეია 1135 ოთხ-კუთხი საჟ. ადგილით. ქ. თბ. 1 განყოფი-ლებაში, მეორე ნაწილში, სასახლის ქუჩაზე.

შარიმანოვი, მიხეილ ქიტესას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი $87\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. მე-2 განყოფილებაში, მე 9 ნაწილში.

გაბაშვილები, გრიგოლი და ექვთიმე დიმიტრის-ძენი. სახნავი და საბოსტნე ადგილები ზომით 4 დესიატ. 807 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბ. 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში.

მნაცაკანოვი, ოჰანეზ ბაღდანის-ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახ-ლი, ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და ოთხი დუქანი სარდაფებით და 110 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. მე-2 განყ. მე-7 ნაწ. ავლაბარში.

მესხელოვი, გიორგი პავლეს-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით, სარდაფით და ყველა მოწყობილობით. ზო-მა მიწისა $347\frac{20}{100}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბ. მე-2 განყოფილებაში, მე 11 ნა-წილში.

თარხან-მოურავოვისა, ალექსანდრა ხოსროშის ასული. ორ-სარ-თულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, ყვე-ლა მოწყობილობით და 266 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, მე 2 განყოფილებაში მე-10 ნაწილში პუკიაში.

განგებლოვისა, აგრაფინა ვასილის ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ყველა მოწყობილობით და 90 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. მე-2 განყოფილებაში, მე-8 ნაწილში.

ქეგალოვი, არსენ სულთანის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით და ფლიგელით და ხილის და ყურძნის ბაღი. მიწის ზომა 3642 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანში.

თულაშვილისა, სუსანა ბაღდანას ასული. ორ-სართულიანი ქვითკი-რის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი $104\frac{4}{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 1 განყ. მე-5 ნაწილში ოქრომჭედლების ქუჩაზე.

გოზალოვი, გრიგოლ იაგორას-ძე. სამ სართულიანი ქვითკირის სახ-ლი სარდაფის სართულით და ყველა მოწყობილობით. მიწის ზომა 84 ოთხ კუთხი საჟ. ქ. თბ. 1 განყოფილებაში, მე-6 ნაწილში.

მელიქ-აღამალოვი, ალექსანდრე მათეს-ძე. 1) ერთ-სართულიან ქვითკირის სახლი სარდაფით და ქარვასლა, რომელიც შესდგება სამი ფლ გელისაგან ყველა მოწყობილობით და 2) ერთ სართულიანი ქვითკირის სა ლი სარდაფით და სამი ფლიგელი. მიწის ზომა 919 ოთხ-კუთხი საჟ. ერევანში.

არნაუტიანცი, გრიგოლი ოსეფას-ძე. სამ-სართულიანი ქვითკ სახლი სარდაფით და 14 ოთხ-კუთხი საჟენი და $2\frac{1}{2}$ არშინი მიწით. თბ. 1 განყოფილებაში მე-3 ნაწილში.

**ბარათაშვილი,** ნიკოლოოზ გრიგოლის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით და დუქნები 1382 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 1 განყ. მე-6 მარანცოვის ნაწილში.

**მაბუროვები:** გრიგოლი და სოლომანი Ივანეს-ძენი. 1) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ხილის ბაღი 714 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით და 2) ვენახი მარნით; მიწის ზომა სიგძით 63 ოთხ-კუთხი საჟ. სიგანით სამხრეთის მხრივ 10 საჟ. და ჩრდილოეთის მხრივ 9 საჟ. **ქ. სიღნაღში.**

**ზუბალოვისა,** Ევემია ალექსანდრეს ასული. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა თავის მოწყობილობით და 392 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში.

**აგიმოვისა,** Ელისაბედ დავითის ასული და **მადინოვი** Ვასილი Დავითის-ძე. Ექვს-სართულიანი ქვითკირის სახლი ანუ ქარვასლა, მიწის ზომა სიგძით 21 საჟ. და სიგანით 7 საჟ. და 2 არშინი. ქ. თბ. 1 განყოფილებაში მე-7 ნაწილში.

**საატცაზოვი,** Არტემ Იაგორას-ძე. Ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, მეზონიცით და ფლიგელით და მეორე ერთ-სართულიანი სახლი სამი სართულიანი შენობით, რომელსაც ერთი სარდაფის სართულიცა აქვს, და სხვა მოწყობილობით, ადგილის ზომა $2317^{69}/_{200}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბ. მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში.

**ალაპოვისა,** Გერმანო Ტიმოთეს ასული. Ორი თითო სართულიანი სახლი სარდაფებით და $342^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 1 განყოფილებაში 1 ნაწილში.

**აბელოვისა,** Სოფიო Ქრისტეფორეს ასული. Ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა მოწყობილობით და $195^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბ. 1 განყოფილებაში, მე-6 ნაწილში № 289.

**ციციშვილი,** Გიორგი Ივანეს-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილი და ტყე,—ადგილის ზომა $967^1/_2$ დესიატ. თბ. გუბ. და მაზრაში, Ბორჩალოში, ს. Ახლალალოუში.

**ერისთავი,** Ლუარსაბ Ალექსანდრეს-ძე. 101 დესიატ. და 1600 ოთხ-კუთხი საჟ. სახნავი მიწა. Თბილ. გუბერ. და მაზრ. ს. ნაწრეთში.

**ბაგრატიონ-მუხრანსკისა,** Ქეთევან Ქაიხოსროს ასული. 176 დესიატ. და 1220 ოთხ-კუთხი საჟ. სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი. თბილ. გუბერნ., Დუშეთის მაზრ. ს. მუხრანში.

მელიქოვი, Ივანე Ალექსანდრეს-ძე. 1651 დესეტინა 145 ოთხ-კუთხი საჟენი, სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი და ტყე. თბილისის გუბერნიაში, Ბორჩალოს მაზრაში ს. Ახტალაში.

**თურქისტანოვი,** Ილია Სოლომონის-ძე. სახნავი, სათიბი, სამოსახლო ადგილები და ტყე—სულ 238 დესეტ. 1240 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერნია Გორის მაზრა ს. Ლავრის-ხევში.

**ალექსეევ-მესხიევი,** მიხეილ Დიმიტრის-ძე. სახნავი სათიბი და ტყე სულ 170 დესეტინა და 960 ოთხ-კუთხი საჟ. ადგილი. თბილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. Კვესეთი.

**რატიშვილი,** მიხეილ Გიორგის-ძე. სახნავი მიწა, სულ 40 დეს. $2040^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილ. გუბერ. Დუშეთის მაზრა სოფ. Ქსოვრისში.

**ზანდუკელი,** Ოთია Გიორგის-ძე. სახნავ-სათიბი და ტყე, სულ 473 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერ. Დუშეთის მაზრაში, ს. Ბულაჩაურში.

**ჩერქეზიშვილისა,** მართა რომანოზის ასული. სახნავ-სათიბი და ტყე, სულ 165 დესეტ. 296 ოთხ კუთხი საჟ. თბილ. გუბერ. და მაზრა, სოფ. Ტბისი და პატარა და დიდი ენაგეთი.

**ბაქრაძე,** Იოსებ Დავითის-ძე. 7 დესეტინა და 1843 ოთხ-კუთხი საჟ. საბოსტნე ადგილი. თბილ. გუბერ. და მაზრაში სოფ. სართიჭალაში.

**გურგენიძისა,** Ქეთევან Სიმონის ასული. 70 დესეტ. სახნავი მიწა. თბილ. გუბერ. თელავის მაზრაში, სოფ შილდაში.

**არეშოვი,** როსტომ Ქაიხოსროს-ძე. სახნავ-სათიბი და საძოვარი ადგილი, სულ 315 დესეტ. 2314 ოთხ-კუთხი საჟ. თბილ. გუბერ. და მაზრა სოფ. Ვარდისუბანი, ანუ Შავსანდარი და ჩხიკვა.

**ზავრიევნი:** Მნაცაკან და Აროუთინა Ტარიელის-ძენი და Ცატუროვისა მანანა Ტარიელის ასული. სახნავ-სათიბი და ტყე, 565 დესეტ. 480 ოთხ-კუთხი საჟ. თბილ. გუბერ. Ბორჩალოს მაზრა.

**ემინოვი,** Ახმედ Სულთანი. სახნავ-სათიბი და საძოვარი, სულ 452 დესეტ. თბილ. გუბერ. და მაზ. სოფ. Დამ-Კაჩი.

**ედიგაროვები:** Დარჩო Გიქოს-ძე, Ედიგარ და Სტეფანე Ვართანას-ძენი. სახნავი, სათესი და საბალე ადგილები, სულ 122 დესეტ. 240 ოთხ-კუთხი საჟენი. თბ. გუბ. და მაზრა სოღანლუღში.

მაყაშვილი, Გრიგოლ რევაზის-ძე. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები სულ 256 დესიატ. 240 ოთხ-კუთხი საჟ. თბილ. გუბ. და მაზრაში სოფ. Ყამ-Ჯვარში.

**ბიჩენკოვი,** Ვასილი ნიკოლოოზის-ძე. სახნავ-სათიბი და ტყე, 391 დესეტ. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თბილ. გუბერ. და მაზრა მანგლისის ახლო.

**თარხან-მოურავოვი,** Იასონ Ლუარსაბის-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, სულ 505 დესეტ. 1866 ოთხ-კუთხი საჟ. თბილ. გუბერ. Გორის მაზრა, სათუხარლო, Გომის-ჯვარი, Ახალშენი და Ახალციხე.

**ერისთავი,** Კონა (იგივე Იაკობ) მირმანოზის-ძე. 119 დესეტ. 946 ოთხ-კუთხი საჟ. სახნავი და საძოვარი ადგილი. თბილ. გუბ. Გორის მაზრა, სოფ. Უფლის-Ციხეში.

**თარხან-მოურავოვი,** ნიკოლოოზ Გიორგის-ძე. სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე, სულ 1047 დესეტ 1560 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბ. და მაზრა, სათარხნოში.

**ჰულოვისა,** Დარია Ალექსანდრეს ასული. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილი—სულ 3311 დესეტინა 650 ოთხ-კუთხიანი საჟ. თბ. გუბ. Ბორჩალოს მაზრაში, თამირ-Ჯიჩაში, მცირე კარაკლისში და სხ.

**ჭავჭავაძე,** Იასე ნოშრევანის-ძე. სახნავი მიწა და ტყე 669 დესეტ. 1912 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბ. თიანეთში, საჭავჭავაძეოში.

რატიშვილი, ზურაბ Გიორგის-ძე. სახნავი, საძოვარი და ტყე, სულ 77 დესეტ. 122 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბ Დუშეთის მაზრაში, სოფ. Ქსოვრისში.

ბარათაშვილი, Დავით ზაქარიას-ძე. სახნავი, სათიბი და ტყე, სულ 1064 დესეტ. 2112 ოთხ-კუთხიანი საჟ. თბ. გუბ. და მაზრაში, Ირაგაში.

თარხან-მოურავოვი, Ლუკა Მატატეს-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, სულ 810 დესეტ. 600 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბ. Გორის მაზრაში, სათარხნოში.

გედევანოვი, Ალექსანდრე Დიმიტრის-ძე. სახნავი, სათიბი და ტყე 66 დესეტინა 2140 ოთხ-კუთხიანი საჟ. თბ. გუბ. Გორის მაზრაში, Ლავრისხევში.

ამილახვარი, Ამირინდო Ამირინდოს-ძე. სახნავი მიწა, 148 დესეტ. 412 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბ. Გორის მაზრაში, ზემო და ქვემო სობისში და Ღდულეთში.

**ონიკოვები,** Კონსტანტინე და Გიორგი Სოლომონის-ძენი. ნაკაშიძისა, Ბარბარე Სოლომონის ასული და ჩოლოყაშვილისა Ელისაბედი Სოლომონის ასული. სახნავი, სათესი, სათიბი, საბალე, საბოსტნე ადგილები და ტყე, სულ 728 დესეტ. 2323 ოთხ-კუთხი საჟ. თბ. გუბერნიაში და მაზრაში Კიკეთში და დიდებაში.

ქანანაძე, Ანდრია Ივანეს-ძე. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა თავის კუთვნილებით და 60 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფ. მე-3 ნაწილში № 271.

ხერხეულიძე, Ქაიხოსრო Ქაიხოსროს-ძე. Ერთ-სართულიანი ქვითკირ. სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით და სხვა მოწყობილობით, მიწის ზომა $324^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებ., მე-11 ნაწილში.

ოსიპოვი, Ლალო Კონიას-ძე. Ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 68 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფ. მე-5 ნაწილში.

გაბაშვილი, Ალექსანდრე ზაქარიას-ძე. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, სარდაფით და ორ-სართულიანი შენობით, მიწის ზომა 160 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში მოსკოვის ქუჩაზე.

ფალეელოვი, მიხეილ ნიკოლოოზის-ძე. Ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი $14^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-4 ნაწილში.

ოქროევისა, Ეკატერინე Არტემას ასული. Ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი 76 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებ., 5 ნაწილში № 299.

გოგსაძისა, Ეკატერინე Დიმიტრის ასული. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით და 166 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. თბილისში, 1 განყოფ., 1 ნაწილში.

არეშოვი, ნიკოლოოზ Სიმონის-ძე. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 26 ოთხ-კუთხი საჟ. და 6 არშინი. ქ. თბილისში, 1 განყოფ., მე-5 ნაწილში.

ერისთავისა, Იელიტა Დიმიტრის ასული. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ხილის ბაღი. მიწის ზომა 500 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. Გორში.

ალენიკოვისა, Სალომე Იაგორას ასული. Ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი 88 ოთხ კუთხი საჟენი და $1^1/_2$ არშინი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფ., 1 ნაწილში, Დავიდოვის ქუჩაზე.

**ჭრელაშვილი,** Გრიგოლი Დავითის-ძე. Ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და 4 დესეტინა მიწით. ქ. თბილისში, მე 2 განყოფილებ. მე-16 ნაწილ., ნავთლუღში.

ერისთავი, Ალექსანდრე Პავლეს-ძე. Წისქვილი და სადგური 5610 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. Გორში.

**ჭიჭინაძე,** Ეგნატე ნიკოლოოზის-ძე. ხუთი თითო-სართულიანი სახლი 115 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მთაწმინდაში.

პაპაჯანოვისა, Ელისაბედი Გრიგოლის ასული. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 72 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში, ნემეცების ქუჩაზე.

გლახაშვილი (იგივე მეტეხელოვი), Გერო Ანდრიას-ძე. Ერთ-სართულიანი სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით და $48^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, მე-2 განყ., Კუკიაში.

მირიანოვისა, მარიამ Იაკობის ასული. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. Გორში.

პოლტარაცკი, Ივანე Ეგნატეს-ძე. Ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორი ფლიგელით და შენობით; მიწის ზომა $321^2/_3$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თბილისში, 1 განყ., 1 ნაწილში Ოლგინსკის ქუჩაზე.

თამამშევი, Ალექსანდრე Სოლომონის-ძე. Ორ-სართულიანი ქვითკირ. სახლი მოწყობილობით და ვენახი სარწყავით, მიწის ზომა 3 დესეტ. 350 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, 1 განყ., მე-9 ნაწილში, Კრწანისში.

ამატუნი, ნაპოლეონ Ივანეს-ძე. 1) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით თავის სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახუროთი, და 2) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწის ზომა 704 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა. ქ. თბილისში, 1 განყ., მე-4 ნაწილ., Ველიამინოვის ქუჩაზე.

ამირაგოვი, Ისაკა Მოსეს-ძე. Ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ეზოთი, თავლით, სარდაფით და ყველა თავის მოწყობილობით, მიწის ზომა სიგძით 49 არშინი და სიგანით 10 არშინი. ქ. Გორში.